



ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ფედერაციული სააგენტო

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის შედეგად გამოვლენილი შუსაბამობები და მომხმარებლის პრობლემები

გამოცემა
ფართობი

2024

SARAS.GOV.GE

შესავალი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა (შემდგომში - სამსახური) „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) საფუძველზე, ევროკავშირის პრაქტიკის გამოყენებით, 2020 წლიდან დაიწყო საწარმოთა მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვის პროცესი, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (შემდგომში - ფასს სტანდარტები) შესაბამისობის დასადგენად.

2024 წლიდან სამსახური გამოსცემს განახლებულ დოკუმენტს ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობებისა და მიმოხილვის პრიორიტეტების შესახებ, რომელიც აერთიანებს 2021-2022 წლების საანგარიშგებო პერიოდებზე ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვის შედეგად გამოვლენილ შეუსაბამობებსა და 2022-2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის პრიორიტეტებს. ამ საკითხებთან ერთად განხილული იქნება, თუ რა უნდა გაითვალისწინონ საწარმოებმა ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად და როგორ განსაზღვრონ არსებითობა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი მიზანია საქართველოს ბაზარზე არსებული საწარმოების ყოველწლიური, საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის ხელშეწყობა, რათა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს (ინვესტორებს და სხვა დაინტერესებულ პირებს) მიეწოდებოდეთ მაღალი ხარისხის ინფორმაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელობას.



სარჩევი

ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობები	4
ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა	4
ფასს 7 - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები	7
ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები	9
ბასს 16 - ძირითადი საშუალებები	10
ბასს 32 - ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა	11
ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები	11
ბასს 24 - დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	12
ბასს 20 - სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები	13
ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება	13
ბასს 36 - აქტივების გაუფასურება	14
2022 და 2023 წლების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის პრიორიტეტები	14
სუბიექტების მიერ წარდგენილი ან/და გასაჯაროებული ანგარიშგებების შერჩევის კრიტერიუმები	14
აქტუალური საკითხები	15
დამატებითი საკითხები	15
რა ხდის ფინანსურ ანგარიშგებას ხარისხიანს	15
არსებითობა	18



ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის გადამხედველობის სამსახური

მისია:

ეფექტიანი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ფინანსური და მმართველობითი ინფორმაციის გამჭვირვალობის, ხარისხისა და სანდოობის ხელშეწყობა საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების გზით.

ხედვა:

გამჭვირვალე გარემო ქვეყნის განვითარების წინაპირობაა



წესა ქნა! შესაძლებელია!


ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობები

სამსახურმა 2021-2022 წლების საანგარიშგებო პერიოდზე ფასს სტანდარტებით მომზადებული და წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებებიდან მიმოხილვისთვის შეარჩია:

- 11 სდპ (საზოგადოებრივი დაინტერესების პირი) საწარმოთა ფინანსური ანგარიშგება (სდპ-ების საწარმოთა ერთობლიობის 8%);
- 11 I კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგება (I კატეგორიის საწარმოთა ერთობლიობის 9%);
- 29 II კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგება (II კატეგორიის საწარმოთა ერთობლიობის 5%).


დოკუმენტში ასახულია მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი ძირითადი შეუსაბამობები. მიმოხილვა ითვალისწინებს ანგარიშგების პორტალზე გასაჯაროებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის განხილვას.

2023 წელს მიმოხილულ ანგარიშგებაებში გამოვლენილი შეუსაბამობების შეჯამება:



ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

განმარტებითი შენიშვნა



გამოვლენილი შეუსაბამობა:


ფინანსურ ანგარიშგებებში არ იყო წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნა არსებითი მუხლების შესახებ, ხოლო რიგ შემთხვევებში განმარტებითი შენიშვნები არასრულად იყო წარმოდგენილი, მათ შორის არ იყო მოცემული მუხლების სიტყვიერი დახასიათება, ან მათ შესახებ დეტალიზებული მონაცემები.

რეკომენდაცია:

საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლისა და საწარმოს მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ, ფასს სტანდარტების მოთხოვნებით გათვალისწინებული განმარტებითი ინფორმაცია და დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში სხვაგან ასახული არ არის, მაგრამ აუცილებელია საწარმოს ფინანსური ანგარიშგების რომელიმე ელემენტის გასაგებად. საწარმომ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები უნდა მოამზადოს შეძლებისდაგვარად

სისტემატიზებული სახით. სისტემატიზების მეთოდის დადგენისას საწარმომ უნდა გაითვალისწინოს მისი გავლენა ფინანსური ანგარიშგების აღქმადობასა და შესაძარისობაზე. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და სრული შემოსავლის ანგარიშგების, განცალკევებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგების (თუ წარდგენილია), საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების თითოეული მუხლი, ურთიერთმიმართების გამოყენებით, უნდა იქნეს დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგებების განმარტებით შენიშვნებში ასახულ შესაბამის ინფორმაციასთან. საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი მუხლების სიტყვიერი დახასიათება, ან მათ შესახებ დეტალიზებული მონაცემები, ასევე ინფორმაცია იმ მუხლების შესახებ, რომლებიც არ აკმაყოფილებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს.

შესადარისი და დამატებითი შესადარისი ინფორმაცია



გამოვლენილი შეუსაბამობა:


ფინანსურ ანგარიშგებაში არ იყო წარმოდგენილი გასული პერიოდის შესადარისი/დამატებითი შესადარისი ინფორმაცია.

რეკომენდაცია:

საწარმომ უნდა წარმოადგინოს, სულ მცირე, ორი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, ორი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, ორი განცალკევებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (თუ ასეთი წარდგენილი აქვს), ორი ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ორი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები.

საწარმოს შეუძლია, ფასს სტანდარტებით მოთხოვნილი მინიმალური შესადარისი ფინანსური ანგარიშგებების გარდა, წარმოადგინოს დამატებითი შესადარისი ინფორმაცია, თუ აღნიშნული ინფორმაცია მომზადებული იქნება ფასს სტანდარტების შესაბამისად. ამგვარი შესადარისი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე ანგარიშგებას, მაგრამ აუცილებელი არ არის, რომ ეს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი იყოს. თუ საწარმო წარმოადგენს ამგვარ დამატებით შესადარის ინფორმაციასაც, მან ასევე უნდა წარმოადგინოს ამ დამატებითი ანგარიშგებების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებიც.

ნულოვანი მუხლები როგორც მიმდინარე, ასევე შესადარისი საანგარიშგებო პერიოდში




ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებში და განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილ იყო

მუხლები ნულოვანი ნაშთით, როგორც მიმდინარე, ასევე შესადარისი საანგარიშგებო პერიოდში.

იხილეთ [არსებითობა და აგრეგირება](#).

არსებითობა და აგრეგირება



გამოვლენილი შეუსაბამობა:

ფინანსურ ანგარიშგებებში არასწორად იყო აგრეგირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლები, რითაც შესუსტდა ფინანსური ანგარიშგების აღქმადობა, იქიდან გამომდინარე, რომ არაარსებითი ინფორმაციის ჩართვის, ან ხასიათით ან ფუნქციებით განსხვავებული ინფორმაციის აგრეგირების შედეგად არსებითი ინფორმაცია გაუგებარი გახდა.

რეკომენდაცია:

ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება დიდი რაოდენობის სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენების დამუშავების რაოდენობრივი შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია შინაარსის ან ფუნქციების მიხედვით. მონაცემთა აგრეგირებისა და კლასიფიცირების საბოლოო სტადიას წარმოადგენს ისეთი დაჯგუფებული და კლასიფიცირებული მონაცემების წარდგენა, რომლებიც უშუალოდ ფინანსური ანგარიშგების მუხლებს წარმოქმნიან. თუ ცალკე აღებული რომელიმე მუხლი არაა არსებითი, იგი სხვა მუხლებთან აგრეგირდება და აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში ან მის განმარტებით შენიშვნებში. ნაკლებად არსებითი მუხლი, რომლის ცალკე მუხლად ასახვა არ მოითხოვება უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაძლოა იმდენად არსებითი შინაარსის მქონე იყოს, რომ განმარტებით შენიშვნებში ცალკე წარმოდგენას იმსახურებდეს. ყველა არსებითი მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ უნდა იქნეს განცალკევებით. არაარსებითი თანხები უნდა გაერთიანდეს ფუნქციების ან შინაარსის ერთგვაროვნების მიხედვით და საჭირო არ არის მათი ცალ-ცალკე წარდგენა.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივების/ვალდებულებების გამოწვნა




გამოვლენილი შეუსაბამობა:

ფინანსურ ანგარიშგებებში არასწორად იყო გამოწვნილი მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივები/ვალდებულებები.

რეკომენდაცია:

საწარმომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად უნდა ასახოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივები და ვალდებულებები, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ლიკვიდურობის მიხედვით წარდგენილი ინფორმაცია უფრო საიმედო და შესაბამისია. როდესაც საწარმო ამგვარ გამონაკლისს მიმართავს, მაშინ ყველა აქტივისა და ვალდებულების წარდგენა ლიკვიდურობის მიხედვით უნდა მოხდეს. ნებისმიერი მეთოდის შერჩევასას საწარმო ვალდებულია, აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული მუხლისთვის ასახოს თანხები, რომელთა მიღება ან დაფარვა მოსალოდნელია თორმეტი თვის შემდეგ, რომელშიც გაერთიანებული იქნება თანხები, რომელთა მიღება ან დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არა უმეტეს თორმეტ თვეში და საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ თორმეტ თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში.

რეზერვის დანიშნულების აღწერა




გამოვლენილი შეუსაბამობა:

ფინანსურ ანგარიშგებებში არ იყო გამჟღავნებული ინფორმაცია რეზერვების შესახებ.

რეკომენდაცია:

საწარმოებმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ან საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში, ან განმარტებით შენიშვნებში უნდა აღწერონ საკუთარ კაპიტალში ასახული თითოეული რეზერვის შინაარსი და დანიშნულება.

ფუნქციონირებადი საწარმო და არსებითი განუსაზღვრელობები



გამოვლენილი შეუსაბამობა:


ფინანსურ ანგარიშგებებში არ იყო გამჟღავნებული ინფორმაცია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენების სისწორესა და საწარმოს არსებითი განუსაზღვრელობების შესახებ.

რეკომენდაცია:

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს,

აქვს თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არა აქვს რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. თუ შეფასების დროს საწარმოს ხელმძღვანელობისთვის ცნობილია მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს საწარმოს შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა ახსნას ეს არსებითი განუსაზღვრელობები. თუ ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არ არის ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, საწარმომ შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და საფუძველი, რის მიხედვითაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება. ასევე მითითებული უნდა იყოს მიზეზი, რის გამოც საწარმო არ შეიძლება ჩაითვალოს ფუნქციონირებად საწარმოდ.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მიზნების, პოლიტიკისა და პროცედურების შეფასება



გამოვლენილი შეუსაბამობა:

ფინანსურ ანგარიშგებებში არ იყო გამჟღავნებული ინფორმაცია კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მიზნების, პოლიტიკისა და პროცედურების შეფასების შესახებ.

რეკომენდაცია:

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული სტანდარტის მოთხოვნების შესასრულებლად, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ხარისხობრივი ინფორმაცია, მათ შორის:

- დახასიათება იმისა, თუ რას მართავს საწარმო, როგორც კაპიტალს;
- როდესაც საწარმო კაპიტალის შესახებ გარე სავალდებულო მოთხოვნებს ექვემდებარება, ამ მოთხოვნების შინაარსი და როგორ უკავშირდება ისინი კაპიტალის მართვას; და
- როგორ არის შესრულებული საწარმოს მიზნები კაპიტალის მართვის შესახებ.

ხარისხობრივ ინფორმაციასთან ერთად უნდა გამჟღავნდეს მოკლე რაოდენობრივი მონაცემები იმის შესახებ, რასაც ის მართავს როგორც კაპიტალს. ზოგიერთი საწარმო კაპიტალის ნაწილად განიხილავს ზოგიერთი სახის ფინანსურ ვალდებულებას (მაგ., გარკვეული ფორმის სუბორდინირებულ ვალს). სხვები კაპიტალად მიიჩნევენ საკუთარ კაპიტალს ზოგიერთი კომპონენტის (მაგ., კომპონენტები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი ნაკადების ჰეჯირებიდან) გარეშე.

თქვენი სარეზიუმე



საქართველოს გამომწვევის სიხშირე

ფინანსურ ანგარიშგებებში შინაარსობრივ საკითხებთან ერთად გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზებიც, როგორცაა:

- ძირითადი ფინანსური ანგარიშგებებისა და განმარტებითი შენიშვნების შეუსაბამო ნუმერაცია;
- განმარტებით შენიშვნაში და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ მუხლებს შორის არსებული დისბალანსი;
- ისეთი ინფორმაციის გადმოტანა წინა წლის პერიოდის ანგარიშგებიდან, რომელიც რელევანტური აღარ იყო მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში;
- ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებსა და განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი მუხლების არასწორი დასახელება.

ფას 7 - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები

განმარტებითი შენიშვნა



საქართველოს გამომწვევის სიხშირე

გამოვლენილი შეუსაბამობა:

ფინანსურ ანგარიშგებებში სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია:

საწარმომ განმარტებით შენიშვნებში ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს, შეაფასოს ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელობა მისი ფინანსური მდგომარეობისა და შედეგებისთვის.

ზარალის რეზიუმის საწყისი ნაშთის შეჯამება საბოლოო ნაშთთან



საქართველოს გამომწვევის სიხშირე

გამოვლენილი შეუსაბამობა:

ფინანსურ ანგარიშგებებში არ იყო წარმოდგენილი ზარალის რეზიუმის საწყისი ნაშთის შეჯამება საბოლოო ნაშთთან.

რეკომენდაცია:

ზარალის რეზიუმის ცვლილებებისა და აღნიშნული ცვლილებების მიზეზების ასახვად, საწარმომ, ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის მიხედვით, ცხრილში უნდა წარმოადგინოს ზარალის რეზიუმის საწყისი ნაშთის შეჯამება საბოლოო ნაშთთან, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები პერიოდის განმავლობაში მომხდარი შემდეგი ცვლილებები:

- ზარალის რეზიუმის, რომელიც შეფასებულია 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ტოლი თანხით;
- ზარალის რეზიუმის, რომელიც შეფასებულია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ეკვივალენტური თანხით, შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებით:
 - ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაგრამ არ წარმოადგენს საკრედიტო რისკით გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს;
 - ფინანსური აქტივები, რომლებიც საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით საკრედიტო რისკით გაუფასურებულია (მაგრამ არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს); და
 - სავაჭრო მოთხოვნები, სახელშეკრულებო აქტივები ან საიტარო მოთხოვნები, რომელთათვისაც ზარალის რეზიუმები ფასდება გამარტივებული მიდგომის შესაბამისად;
- ფინანსური აქტივების, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივებია. შეჯამების გარდა, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს იმ ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის არადისკონტირებული მთლიანი ოდენობა, რომელიც თავდაპირველად აღიარდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან გამჟღავნებული ზარალის რეზიუმის ცვლილებების შესახებ, საწარმომ უნდა ახსნას, რა გავლენა იქონია ზარალის რეზიუმის ცვლილებებზე მოცემული პერიოდის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტების მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა.

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკების მართვა



საქართველოს გამომწვევის სიხშირე

გამოვლენილი შეუსაბამობა:


ფინანსურ ანგარიშგებებში არ იყო გამჟღავნებული რაოდენობრივი ან/და ხარისხობრივი ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკების მართვის შესახებ.

რეკომენდაცია:

საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს, შეაფასოს ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი ისეთი რისკების ბუნება და დონე, რომლებიც საწარმომ გავლენას ახდენდა საანგარიშგებო თარიღისათვის. რაოდენობრივ ინფორმაციასთან დაკავშირებული ხარისხობრივი ინფორმაციის გამჟღავნება

მომხმარებლებს ამ ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებას აძლევს და, მაშასადამე, მომხმარებლები შეძლებენ ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოქმნილი რისკების ხასიათისა და დონის შესახებ საერთო წარმოდგენის შექმნას. ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის ურთიერთქმედება ხელს უწყობს მომხმარებლებისთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც მათ საწარმოს რისკების შეფასების საშუალებას მისცემს.

ლიკვიდურობის რისკი



გამოვლენილი შეუსაბამობა:

ლიკვიდურობის რისკთან მიმართებით ფინანსურ ანგარიშგებებში არ იყო წარმოდგენილი იმის აღწერა, თუ როგორ მართავს კომპანია ფინანსური ვალდებულებებისთვის დამახასიათებელ ლიკვიდურობის რისკს.


რეკომენდაცია:

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმო სიძნელეებს წააწყდება ისეთ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც იფარება ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემით. ლიკვიდურობის რისკთან მიმართებით საწარმომ უნდა გაამჟღავნოს არანაარმოებელი და წარმოებელი ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი, საიდანაც გამოჩნდება დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები. ამავდროულად, უნდა აღწეროს, თუ როგორ მართავს იგი ზემოხსენებული ვალდებულებებისთვის დამახასიათებელ ლიკვიდურობის რისკს. იმის აღსაწერად, თუ როგორ იმართება ლიკვიდურობის რისკი, საწარმომ უნდა წარმოადგინოს სახელშეკრულებო დაფარვის ვადების ანალიზი იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც გამიზნული აქვს ლიკვიდურობის რისკის მართვაში გამოსაყენებლად (მაგ: ფინანსური აქტივები, რომლებიც ადვილად რეალიზებადია, ან მოსალოდნელია, რომ საწარმოს მოუტანს ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულებების დასაფარად). გარდა ამისა, საწარმოს შეუძლია განიხილოს სხვა ფაქტორებიც, მაგალითად, ქვემოთ განხილული (თუმცა, შეზღუდული არ არის ამ ფაქტორებით). კერძოდ, აქვს თუ არა საწარმოს:

- ნახესხები სახსრები (მაგ., მოკლევადიანი კომერციული კრედიტის დოკუმენტები), ან კრედიტის სხვა საშუალებები (მაგ., სარეზერვო საკრედიტო სახსრები), რომელზეც ხელი მიუწვდება მას ლიკვიდურობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;
- დეპოზიტები ცენტრალურ ბანკებში ლიკვიდურობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;
- დაფინანსების მრავალფეროვანი წყაროები;
- ლიკვიდურობის რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია ან თავის აქტივებში, ან დაფინანსების წყაროებში;
- შიდა კონტროლის პროცედურები და ლიკვიდურობის რისკის მართვის სარეზერვო გეგმები;
- ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს დაჩქარებული გადახდის პირობებს (მაგ., საწარმოს საკრედიტო რეიტინგის დაცემის შემთხვევაში);

- ინსტრუმენტები, რომლებიც საწარმოს თავისი ფინანსური ვალდებულებების დაფარვის გზების არჩევანის უფლებას აძლევს: ფულით (ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით) გადაიხადოს, თუ საკუთარი აქციებით; ან
- ინსტრუმენტები, რომლებიც ურთიერთჩათვლის შეთანხმების საგანია.

სამართლიანი ღირებულება



გამოვლენილი შეუსაბამობა:

ფინანსურ ანგარიშგებებში ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კატეგორიისთვის არ იყო გამჟღავნებული ინფორმაცია მათი სამართლიანი ღირებულების შესახებ.

რეკომენდაცია:

იმ გამონაკლისების გარდა, რომელიც განსაზღვრულია ქვემოთ, საწარმომ ყველა სხვა შემთხვევაში ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების თითოეული კატეგორიისათვის სამართლიანი ღირებულება იმგვარად უნდა წარმოადგინოს, რომ შესაძლებელი იყოს შედარება საბალანსო ღირებულებასთან. სამართლიანი ღირებულების გასამჟღავნებლად, საწარმომ ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კატეგორიებად უნდა დააჯგუფოს, მაგრამ მათი ურთიერთგადაფარვა მხოლოდ ისეთი მოცულობით უნდა განახორციელოს, როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არის ურთიერთგადაფარული მათი საბალანსო ღირებულება. ზოგიერთ შემთხვევაში, საწარმო ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას არ აღიარებს შემოსულობას, ან ზარალს, ვინაიდან მისი სამართლიანი ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი. 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემები) და არც შეფასების ისეთ მეთოდს ეყრდნობა, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ბაზრებზე დაკვირვებადი მონაცემები. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ თითოეული კატეგორიის ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების მიხედვით უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:


- სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოიყენა თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის განსხვავების თანხის მოგებაში ან ზარალში აღიარებისთვის, რათა აისახოს ისეთ ფაქტორებში მომხდარი ცვლილებები (მათ შორის დროის ფაქტორში), რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას;
- მთლიანი განსხვავების თანხა, რომელიც მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს და ამ სხვაობის ნაშთში მომხდარი ცვლილებების შემთხვევითი ინფორმაცია;
- რატომ დაასკვნა საწარმომ, რომ გარიგების ფასი არ წარმოადგენდა სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას, მათ შორის იმ მტკიცებულებების აღწერა, რომელიც ასაბუთებს სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება არ მოითხოვება შემდეგი გამონაკლისებისთვის:

- როდესაც საბალანსო ღირებულება მიახლოებით სამართლიანი ღირებულების ტოლია, მაგალითად, ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, როგორცაა მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები;
- საიჯარო ვალდებულებებისთვის.

ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები

ახალი სტანდარტების შემოღების შესაძლო გავლენის შეფასება



გამოვლენილი შეუსაბამობა:


ფინანსურ ანგარიშგებებში არ იყო წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაზე იმ ახალი სტანდარტების გავლენის შეფასება, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ მათი ძალაში შესვლის თარიღი არ დამდგარა.

რეკომენდაცია:

როდესაც საწარმო არ იყენებს ახალ სტანდარტს, რომელიც გამოცემულია, მაგრამ მისი ძალაში შესვლის თარიღი არ დამდგარა, საწარმომ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს თავად ეს ფაქტი და ცნობილი ან რაცაიონალურ შეფასებას დაქვემდებარებული ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის შემოღების შესაძლო გავლენის შესაფასებლად იმ პერიოდში, როცა მოხდება მათი პირველად გამოყენება. ამის შესასრულებლად საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა დაურთოს:

- ახალი სტანდარტის სახელწოდება;
- სააღრიცხვო პოლიტიკაში მოსალოდნელი ცვლილებების ხასიათი;
- თარიღი, რომლისთვის მოითხოვება სტანდარტის შემოღება;
- თარიღი, რომლისთვისაც იგი გეგმავს სტანდარტის შემოღებას;
- ერთ-ერთი, ან
- ზეგავლენის განხილვა, რომელიც მოსალოდნელია, რომ ექნება სტანდარტის შემოღებას საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე; ან
- ამ ეფექტის კონსტატაცია, თუ გავლენა ცნობილი არ არის, ან არ ექვემდებარება მისაღებ ფარგლებში შეფასებას.

შეცდომების გასწორება



გამოვლენილი შეუსაბამობა:

შეცდომების გასწორება და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არ იყო წარმოდგენილი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში - ბასს) 8 მოთხოვნების შესაბამისად.

რეკომენდაცია:

წინა პერიოდის შეცდომები არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ელემენტების გამოტოვება, რომელიც წარმოქმნილია ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ. აღნიშნული შეიძლება გამოწვეული იყოს იმ მიზეზით, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო, როცა შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ნებადართული იყო საჯარო გამოქვეყნებისათვის და მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს. ეს შეცდომები მოიცავს მათემატიკური შეცდომების შედეგებს, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში დაშვებულ შეცდომებს, ფაქტების უყურადღებოდ დატოვების ან არასწორი ინტერპრეტაციისა და თაღლითობის შემთხვევებს.

შეცდომები შეიძლება დაშვებულ იქნეს ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას, მისი ცალკეული ელემენტის აღიარებისას, შეფასებისას ან განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის თანდართვის დროს. ფინანსური ანგარიშგება არ აკმაყოფილებს ფასს სტანდარტების მოთხოვნებს თუ იგი შეიცავს განზრახ დაშვებულ არსებით შეცდომებს ან არაარსებით შეცდომებს, რაც საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური შედეგების ან ფულადი ნაკადების წინასწარ გამიზნულად წარმოჩენას ემსახურება. მიმდინარე პერიოდის შესაძლო შეცდომები მანამ უნდა შესწორდეს, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცება. ამასთან, ზოგჯერ არსებითი შეცდომები მხოლოდ მომდევნო პერიოდში გამოვლინდება. წინა პერიოდის ამგვარი შეცდომა უნდა გასწორდეს მომდევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შესადარის ინფორმაციაში მათი გათვალისწინების გზით. საწარმომ რეტროსპექტულად უნდა შეასწოროს წინა პერიოდის არსებითი შეცდომები გამოსაცემად ნებადართულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში მას შემდეგ, რაც შეცდომები გამოვლინდება და ეს უნდა გაკეთდეს შემდეგი გზით:


- იმ წარდგენილი პერიოდის (პერიოდების) შესადარის ინფორმაციის გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა; ან
- ყველაზე ადრეული პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით, თუ შეცდომა დაშვებულ იქნა წარდგენილ პერიოდთან ყველაზე წინა პერიოდამდე.

საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს შემდეგი ინფორმაცია:

- წინა პერიოდის შეცდომების ხასიათი;
- თითოეული წინა პერიოდისთვის, შესაძლებლობის ფარგლებში, შესწორების თანხის ოდენობა ფინანსური ანგარიშგების თითოეული შესაბამისი მუხლისთვის;
- შესწორების თანხა წარდგენილ წინა პერიოდთან ყველაზე ადრეული დასაწყისისთვის; და
- თუ კონკრეტული წინა პერიოდისათვის შეუძლებელია რეტროსპექტულად გადაანგარიშება, გარემოებები, რომლებმაც გამოიწვია ამ პირობის არსებობა. ამასთანავე, აღწერა იმისა, თუ როგორ და როდიდან მოხდა შეცდომის გასწორება. მომდევნო პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებში საჭირო არ არის ამ ინფორმაციის გამეორება.

ბასს 16 - ძირითადი საშუალებები

განმარტებითი შენიშვნა



გამოვლენილი შეუსაბამობა:

ფინანსურ ანგარიშგებებში ძირითადი საშუალებების შესახებ არასრულად იყო წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა ან/და განმარტებითი შენიშვნა.

რეკომენდაცია:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ძირითადი საშუალებების ყოველი ჯგუფისათვის უნდა გამჟღავნდეს შემდეგი ინფორმაცია:

- პირვანდელი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული შეფასების საფუძველი;
- გამოყენებული ცვთის მეთოდები;
- აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა ან გამოყენებული ცვთის განაკვეთები;
- პირვანდელი ღირებულება და დაგროვილი ცვთა (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) პერიოდის დასაწყისში და ბოლოს; და
- პერიოდის საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შეჯერება, სადაც ნაჩვენებია იქნება:

- შემოსვლა;
- აქტივები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული ან ჩართულია გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფში და სხვა გასვლები;
- შეძენა საწარმოთა გაერთიანების გზით;
- ღირებულების მატება ან კლება, რომელიც გამომწვეულია გადაფასებების შედეგად და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ან აღდგენილი გაუფასურების ზარალით;
- მოგებაში ან ზარალში აღიარებული გაუფასურების ზარალი ბასს 36-ის თანახმად;
- მოგებაში ან ზარალში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა ბასს 36-ის თანახმად;
- ცვთა;
- წმინდა საკურსო სხვაობები, წარმოშობილი ფინანსური ანგარიშგების სამუშაო ვალუტიდან განსხვავებულ წარსადგენ ვალუტაში გადაყვანის შედეგად, საწარმოს საგარეო ოპერაციების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ჩათვლით; და
- სხვა ცვლილებები.

საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- საკუთრების უფლებებზე არსებული შეზღუდვები და ვალდებულებების

- უზრუნველსაყოფად დაგირავებული ძირითადი საშუალებების ღირებულება;
- შექმნის პროცესში მყოფი ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში აღიარებული დანახარჯების ოდენობა; და
- ძირითადი საშუალებების შეძენის პოტენციური სახელშეკრულებო ვალდებულებების თანხა;

როდესაც ძირითადი საშუალებები ასახულია გადაფასებული ღირებულებით, ფასს 13-ით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, აუცილებელია შემდეგი ინფორმაციის გამჟღავნება:


- გადაფასების თარიღი;
- მოწვეული იყო თუ არა დამოუკიდებელი შემფასებელი;
- ძირითადი საშუალებების ცალკეული გადაფასებული ჯგუფისათვის საბალანსო ღირებულება, რომელიც აღიარდებოდა, თუ ისინი აისახებოდა თვითღირებულების მოდელით; და
- გადაფასებით მიღებული ნამეტი, როგორც პერიოდში მომხდარი ცვლილების მაჩვენებელი და აქციონერებზე ამ რეზერვის ნაშთის განაწილების ნებისმიერი შეზღუდვა.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შეიძლება გამოადგეთ ასევე შემდეგი ინფორმაცია:

- დროებით გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება;
- სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება, რომელთა გამოყენება ისევ გრძელდება;
- ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება, რომელიც გამოსულია აქტიური მოხმარებიდან და კვალიფიცირებული არ არის, როგორც გასაყიდად გამიზნული, ფასს 5-ის შესაბამისად; და
- თვითღირებულების მოდელის გამოყენებისას, ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება, როცა იგი არსებითად განსხვავდება საბალანსო ღირებულებისაგან.

ამიტომ, რეკომენდებულია საწარმოების მიერ ამ თანხების მითითება.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა



გამოვლენილი შეუსაბამობა:

ფინანსურ ანგარიშგებებში არასათანადოდ იყო განსაზღვრული ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.


რეკომენდაცია:

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის. საწარმოს აქტივების მართვის პოლიტიკა შეიძლება გულისხმობდეს აქტივების გაყიდვას, გარკვეული დროის ან აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის გარკვეული ნაწილის მოხმარების შემდეგ. აქედან გამომდინარე, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება

მისი ეკონომიკური ვარგისიანობის ვადაზე ნაკლები აღმოჩნდეს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენა დამოკიდებულია საწარმოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე, რომელიც ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა და ცვთის მეთოდის შერჩევა განსჯის საგანია. აქედან გამომდინარე, არჩეული მეთოდისა და გამოთვლილი სასარგებლო მომსახურების ვადის ან ცვთის განაკვეთების შესახებ დართული ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, შეაფასონ საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ არჩეული პოლიტიკა და შედარება გააკეთონ სხვა საწარმოებთან.

ბასს 32 - ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა

ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტების გამოწვნა




გამოვლენილი შეუსაბამობა:

ფინანსური ინსტრუმენტების რისკების მიმოხილვისას ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან ერთად წარმოდგენილი იყო არაფინანსური ინსტრუმენტები.

რეკომენდაცია:

ფიზიკური აქტივები (როგორცაა მარაგები, ძირითადი საშუალებები), აქტივების გამოყენების უფლებები და არამატერიალური აქტივები (მაგალითად, პატენტები და სავაჭრო ნიშნები) არ წარმოადგენს ფინანსურ აქტივებს. ამგვარი ფიზიკური აქტივების, აქტივების გამოყენების უფლებებისა და არამატერიალური აქტივების კონტროლი ქმნის საწარმოში ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების შემოსვლის შესაძლებლობას, მაგრამ არ წარმოშობს ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების მიღების მიმდინარე უფლებას. არასახელშეკრულებო ვალდებულებები ან აქტივები, როგორცაა მოგებიდან გადასახადები, რომელიც წარმოიშობა საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად, ასევე არ წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებებს ან ფინანსურ აქტივებს. ანალოგიურად, კონსტრუქციული ვალდებულება, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ში - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“, არ წარმოიშობა ხელშეკრულებების საფუძველზე და შესაბამისად არ წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას.

ზარალის რეზერვი გადახდილი ავანსებისთვის



გამოვლენილი შეუსაბამობა:


ფინანსურ ანგარიშგებებში გადახდილი ავანსებისთვის შეფასებული იყო ზარალის რეზერვი.

რეკომენდაცია:

ისეთი აქტივები, როგორცაა წინასწარ გადახდილი ხარჯები, რომელთა შესაბამისი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გულისხმობს საქონლის ან მომსახურების მიღებას და არა ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების მიღების უფლებას, არ წარმოადგენს ფინანსურ აქტივებს. ანალოგიურად, გადავადებული ამონაგები და საგარანტიო ვალდებულებების მუხლების უმრავლესობა არ მიეკუთვნება ფინანსურ ვალდებულებებს, რადგან მათთან დაკავშირებული მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გასვლა გულისხმობს საქონლისა და მომსახურების მიწოდებას და არა ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების გასვლას. შესაბამისად, გადახდილი ავანსების გაუფასურება და ზარალის რეზერვის აღიარება, ისე, როგორც ამას სტანდარტი ითხოვს ფინანსური აქტივების შემთხვევაში, დაუშვებელია. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო გადახდილი ავანსის სანაცვლოდ აღარ ელოდება საქონელს ან მომსახურებას, მან არსებული მოთხოვნა უნდა ჩამოიწეროს შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება



გამოვლენილი შეუსაბამობა:


ფინანსურ ანგარიშგებებში არ იყო აღიარებული ზარალის რეზერვი ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებულ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან მიმართებით, ფასს 9 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

რეკომენდაცია:

საწარმომ ზარალის რეზერვი უნდა აღიაროს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულ, ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან მიმართებით, ასევე საიჯარო მოთხოვნის, სახელშეკრულებო აქტივის ან სესხის გაცემის ვალდებულებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების მიმართ, რომელზეც ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები. სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით ზარალის რეზერვი უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში და მან არ უნდა შეამციროს მოცემული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. საწარმომ ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის თითოეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომლის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, უნდა განსაზღვროს ზარალის რეზერვი ისეთი ოდენობით, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. გაუფასურებასთან

დაკავშირებული მოთხოვნების მიზანია, ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, მიუხედავად იმისა, გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასდა თუ კოლექტიურად, რისთვისაც საწარმო ითვალისწინებს ყველა გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას, მათ შორის, საპროგნოზო ინფორმაციასაც. როდესაც საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილი არ არის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ მოცემული ფინანსური ინსტრუმენტისთვის ზარალის რეზერვი უნდა შეაფასოს ისეთი ოდენობით, რომელიც 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ტოლია. საწარმომ, გაუფასურების შემოსულობის ან ზარალის სახით, მოგებაში ან ზარალში უნდა აღიაროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა (ან მისი შემცირება) ისეთი ოდენობით, რაც, საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, აუცილებელია ზარალის რეზერვის კორექტირებისთვის ისეთ სიდიდემდე, რომლის აღიარებაც მოითხოვება ფასს 9 სტანდარტის შესაბამისად.

ფასს 9 სტანდარტის გამოყენება




გამოვლენილი შეუსაბამობა:

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას არ იყო გამოყენებული ფასს 9 სტანდარტის მოთხოვნები ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით.

ბასს 24 - დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

განმარტებითი შენიშვნა



გამოვლენილი შეუსაბამობა:

ფინანსურ ანგარიშგებებში არ იყო ან არასრულად იყო გამჟღავნებული ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების შესახებ.

რეკომენდაცია:

თუ საწარმოს ფინანსური ანგარიშგებით მოცულ პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან ჰქონდა ოპერაციები, მან ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა ახსნას დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ურთიერთობების ხასიათი, ასევე გაამჟღავნოს ამ ოპერაციებისა და დაუფარავი ნაშთების, მათ შორის ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ

ურთიერთობის პოტენციური გავლენის გაგებისათვის აუცილებელია. განმარტებითი შენიშვნების ინფორმაცია უნდა მოიცავდეს სულ მცირე:


- ოპერაციების მოცულობას;
- დაუფარავი ნაშთების, მათ შორის ვალდებულებების მოცულობას; და
 - მათი დაფარვის ვადებსა და პირობებს, მათ შორის, ინფორმაციას მათი უზრუნველყოფის შესახებ და დაფარვისათვის საჭირო ანაზღაურების ფორმას; და
 - გაცემული ან მიღებული გარანტიების შესახებ დეტალურ ინფორმაციას;
- დაუფარავ ნაშთებთან დაკავშირებული საექვო ვალების ანარიცხებს; და
- დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღებ უიმედო ან საექვო ვალებთან დაკავშირებით მოცემულ პერიოდში აღიარებულ ხარჯებს.

ანგარიშვალდებულმა საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურების შესახებ მთლიანად და თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებისათვის ცალ-ცალკე:

- დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები;
- შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები;
- დასაქმებულთა სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოები;
- შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული გასამრჯელოები; და
- აქციებზე დაფუძნებული გადახდა.

დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ იხილეთ ბასს 24 სტანდარტი.

საბოლოო მაკონტროლებელი მხარე



გამოვლენილი შეუსაბამობა:


ფინანსურ ანგარიშგებებში არ იყო გამჟღავნებული ინფორმაცია საბოლოო მაკონტროლებელი მხარის შესახებ.

რეკომენდაცია:

მშობელ და შვილობილ საწარმოს შორის ურთიერთობა ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გამჟღავნდეს, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა ამ დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციები. ანგარიშვალდებულმა საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა განაცხადოს მისი მშობელი საწარმო და, თუ განსხვავებულია, საბოლოო მაკონტროლებელი მხარის სახელები. თუ არც მშობელი საწარმო და არც საბოლოო მაკონტროლებელი მხარე გამოსაქვეყნებლად არ ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, მაშინ ასევე მითითებული უნდა იყოს შემდეგი ყველაზე ზემდგომი რანგის მშობელი საწარმოს სახელწოდებაც, რომელიც აქვეყნებს ფინანსურ ანგარიშგებას.

ბასს 20 - სახელმწიფო ბრანდების ბულალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები

სახელმწიფოსგან მიღებული ბრანდები



გამოვლენილი შეუსაბამობა:

ფინანსურ ანგარიშგებებში არასწორად იყო აღიარებული სახელმწიფოდან მიღებული გრანტები.


რეკომენდაცია:

სახელმწიფო გრანტი, რომელიც მიღებული იქნება განუვლი ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, ან საწარმოს გადაუდებელი ფინანსური დახმარების მიზნით, რომელსაც არ ექნება შესაბამისი სამომავლო დანახარჯები, უნდა აღიარდეს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაეჭვმდებარება მიღებას. სახელმწიფო გრანტი შეიძლება განკუთვნილი იყოს საწარმოსათვის უშუალო გადაუდებელი ფინანსური დახმარების აღმოსაჩენად, უკვე განუვლი სპეციფიკური დანახარჯების სტიმულირების მიზნით. ასეთი გრანტი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ საწარმოს და არა საწარმოთა ჯგუფს. ასეთ შემთხვევაში, გამართლებულია გრანტის აღიარება შემოსავლის სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც საწარმო განსაზღვრავს მის მიღებას, სათანადო განმარტებითი შენიშვნის დართვით, რათა მკაფიოდ გამოჩინდეს გრანტის შედეგი. სახელმწიფო გრანტი საწარმომ შესაძლოა მიიღოს წინა საანგარიშგებო პერიოდში განუვლი ხარჯების ან ზარალის კომპენსაციის სახით. ამგვარი გრანტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც იგი დაეჭვმდებარება მიღებას, სათანადო განმარტებითი შენიშვნის დართვით, რათა მკაფიოდ გამოჩინდეს გრანტის შედეგი.

აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები სამართლიანი ღირებულებით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ უნდა იქნეს გრანტის გადავადებული შემოსავლის სახით აღიარებით, ან გრანტის გამოქვითვით აქტივის საბალანსო ღირებულების მისაღებად. არსებობს ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებთან დაკავშირებული გრანტის (ან გრანტის შესაბამისი წილის) ასახვის ორი მისაღები ალტერნატიული მეთოდი. პირველი მეთოდი გულისხმობს გრანტის ასახვას გადავადებული შემოსავლის სახით, რომელიც აღიარდება მოგებაში ან ზარალში სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე, აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში. მეორე მეთოდის თანახმად მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულების მისაღებად გრანტი გამოიქვითება. გრანტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ცვეთადი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ცვეთის ხარჯის შემცირების გზით.

ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები



გამოვლენილი შეუსაბამობა:

ფინანსურ ანგარიშგებებში გამორჩენილი ან არასწორად წარდგენილი იყო უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები.


რეკომენდაცია:

არაპირდაპირი მეთოდით საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული წმინდა ფულადი ნაკადები განისაზღვრება წმინდა მოგებისა და ზარალის კორექტირებით, შემდეგი მუხლების საფუძველზე:

- საანგარიშგებო პერიოდში მარაგებსა და საოპერაციო მოთხოვნებსა და ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებები;
- არაფულადი მუხლები, როგორცაა: ცვეთა, ანარიცხები, გადავადებული გადასახადები, უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული შემოსულობები და დანაკარგები, მეკავშირე საწარმოებს შორის გაუნაწილებელი მოგება; და
- სხვა მუხლები, რომლებიც გვიჩვენებს საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს.

არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა გასაცვლელი სავალუტო კურსების ცვლილების შედეგად, არ ითვლება ფულად ნაკადებად. ამასთან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აისახება უკვე შემოსული ან შემოსასვლელი უცხოური ვალუტის საკურსო სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე, რათა ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და დასასრულისთვის არსებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ეს თანხები აისახება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისაგან განცალკევებულად და შეიცავს საკურსო სხვაობას, თუ ასეთს ჰქონდა ადგილი, იმ შემთხვევებში, როდესაც ფულადი ნაკადები ანგარიშგებაში ნაჩვენებია გასაცვლელი სავალუტო კურსით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

ფულადი ნაკადების ძირითადი კატეგორიები



გამოვლენილი შეუსაბამობა:


ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები არ იყო წარმოდგენილი ძირითადი კატეგორიების მიხედვით.

რეკომენდაცია:

საწარმომ ცალ-ცალკე უნდა წარადგინოს საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული მიღებული და გაცემული ფულადი სახსრების მთლიანი ნაკადები, ძირითადი კატეგორიების მიხედვით, გარდა ნეტო საფუძველზე წარმოდგენილი ფულადი ნაკადებისა. საწარმო ანგარიშგებაში ფულად ნაკადებს წარადგენს საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან გამომდინარე ისეთი ფორმით, რომელიც ყველაზე მეტად მისაღებია მისი საქმიანობისათვის. დაჯგუფება საქმიანობის მიხედვით იძლევა ინფორმაციას, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, შეაფასოს მოცემული საქმიანობის გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ ინფორმაციის გამოყენება, ასევე, შესაძლებელია საქმიანობის სახეებს შორის თანაფარდობის შეფასების მიზნით. ერთი ოპერაცია შეიძლება ფულადი სახსრების ისეთ ნაკადებს მოიცავდეს, რომლებიც სხვადასხვანაირად კლასიფიცირდება. მაგალითად, თუ სესხის დაფარვა მოიცავს დარიცხულ პროცენტებსა და ძირითად თანხას, პროცენტების გადახდა შეიძლება კლასიფიცირდეს საოპერაციო საქმიანობად, ხოლო ძირითადი თანხის გადახდა - საფინანსო საქმიანობად.

ბასს 36 - აქტივების გაუფასურება

ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება



გამოვლენილი შეუსაბამობა:

ფინანსურ ანგარიშგებებში, გაუფასურების ინდიკატორების არსებობის მიუხედავად, არ იყო შეფასებული გრძელვადიანი აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება.

რეკომენდაცია:

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, საწარმო ვალდებულია შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. ასევე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მინიშნება გაუფასურებაზე, საწარმო ვალდებულია:

- ყოველწლიურად შეამოწმოს განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე და ჯერ გამოუყენებელი არამატერიალური აქტივები გაუფასურებაზე, მათი საბალანსო და ანაზღაურებადი ღირებულებების შედარების გზით. ასეთი შემოწმება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს საანგარიშგებო წლის განმავლობაში იმ პირობით, რომ ეს მოხდება ყოველწლიურად ერთსა და იმავე დროს. სხვადასხვა არამატერიალური აქტივის შემოწმება გაუფასურებაზე შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა დროს. თუმცა, თუ არამატერიალური აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება მიმდინარე საანგარიშგებო წელს, მისი შემოწმება გაუფასურებაზე ხდება იმავე საანგარიშგებო წლის დასრულებამდე;
- ყოველწლიურად შეამოწმოს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით წარმოშობილი გუდვილის გაუფასურება.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით. ყოველთვის არ არის აუცილებელი განისაზღვროს ორივე სიდიდე - აქტივის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება და მისი გამოყენების ღირებულება. მაგალითად, თუ ერთ-ერთი მათგანი მეტია მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივი არ არის გაუფასურებული და არ არსებობს მეორე სიდიდის შეფასების აუცილებლობა.

2022-2023 წლების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის კრიორითები

დოკუმენტის ამ ნაწილში მოცემულია ინფორმაცია იმ კრიორითებისა და მიდგომების შესახებ, რაზეც სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს 2022-2023 წლების ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვისას. ასევე, აღწერილია, თუ რა კრიტერიუმებით შეარჩევს სამსახური სუბიექტების მიერ წარდგენილ და ანგარიშგების პორტალზე გასაჯაროებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, მათი მიმოხილვის მიზნით და რა პროცესის გავლა იქნება მიზანშეწონილი სუბიექტების მხრიდან სამსახურის მიერ გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად.

სუბიექტების მიერ წარდგენილი ან/და გასაჯაროებული ანგარიშგების შერჩევის კრიტერიუმები

ანგარიშგებების შერჩევის კრიტერიუმები ეყრდნობა რისკზე დაფუძნებულ მიდგომას და შეიძლება შეიცვალოს წლიდან წლამდე სამსახურის/სხვა მარეგულირებელი ან საზედამხედველო ორგანოების მიერ შეფასებული რისკების ფარგლებში დადგენილი კრიორითებიდან გამომდინარე. 2024 წლის მიმოხილვის პროცესში, ანგარიშგებების შერჩევის კრიტერიუმებია:

- ბაზარზე ან/და სექტორში დიდი წილის მქონე სუბიექტები, რომელთა ფუნქციონირებაც გავლენას ახდენს ეკონომიკაზე;
- ფინანსური ანგარიშგებები, რომელთა აუდიტორული მომსახურების განხორციელებამდე ან მის შემდეგ, აუდიტორული მომსახურების განმხორციელებელ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას შეუწყდა/შეეზღუდა უფლებამოსილება (შესაბამის კატეგორიის საწარმოებთან მიმართებაში) ან/და აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას არ აქვს გავლილი ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი ან/და აუდიტორი/აუდიტორული ფირმა სამსახურის ხედვით არ შეესაბამება სუბიექტის სიდიდეს და კომპლექსურობას.

- აუდიტორის მოსაზრების ტიპი;
- განმარტებითი შენიშვნების თვალსაჩინო სიმწირე;
- ანგარიშგების წარდგენა კანონისა და კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული წესების დარღვევით;
- სხვადასხვა პერიოდზე მომზადებულ ანგარიშგებებს შორის შეუსაბამობები;
- სექტორული შერჩევა რისკისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით.

აქტუალური საკითხები

სამსახურის მიერ ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვისას, ყურადღება არსებითად გამახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

ძირითადი ფინანსური ანგარიშგებები, სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

- ფულადი ნაკადების ანგარიშგების სისრულე და შესადარისობა ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებსა და განმარტებითი შენიშვნებთან;
- სააღრიცხვო პოლიტიკების არსებობა ანგარიშგების ყველა არსებითი მუხლისთვის;
- აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობა სტანდარტების მოთხოვნებთან და განმარტებითი შენიშვნებთან;
- სუბიექტის მიერ გამოყენებული არსებითი განსჯა და შეფასებები;
- განმარტებითი შენიშვნის მუხლების შესახებ სიტყვიერი დახასიათების ან დეტალიზებული მონაცემების გამჟღავნება.
- შესადარისი და სადაც რელევანტურია, დამატებითი შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენა.

ფინანსური ინსტრუმენტები

- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება და აღიარება;
- ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება;
- ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკების მართვა;
- სამართლიანი ღირებულების გამჟღავნება ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კატეგორიისთვის.

ანგარიშგებაში გასამჟღავნებელი ძირითადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ

- სუბიექტის მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე, რომელიც შესაძლებელია იყოს როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირი; ბასს 1-ის 138-ე პარაგრაფის „გ“ პუნქტი და ბასს 24-ის მე-13 პარაგრაფი;
- იმ შემთხვევაში თუ სუბიექტი წარმოადგენს ჯგუფის მშობელ საწარმოს - ჯგუფის სტრუქტურა და შვილობილი კომპანიების ჩამონათვალის წარდგენა; ბასს 27-ის მე-16 პარაგრაფის „ბ“ პუნქტი და ფასს 12-ის ბ2-ბნ პარაგრაფები.

აღნიშნული ინფორმაციის გამოტოვებისას, საწარმოები ვალდებული არიან შეუსაბამობა გამოასწორონ უკვე წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაგეგმვითი საკითხები

სამსახურის მიერ 2022-2023 წლების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვისას დამატებით ყურადღება გამახვილდება სტანდარტებზე, რომლებიც აქტუალურია საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე:

1. ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება;
2. ფასს 5 - გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები;
3. ფასს 13 - სამართლიანი ღირებულების შეფასება;
4. ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები;
5. ბასს 28 - ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში;
6. ბასს 36 - აქტივების გაუფასურება.

ასევე, ხშირად გამოვლენილი შეუსაბამობებიდან გამომდინარე სამსახური ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ სტანდარტებზე:

7. ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები;
8. ბასს 16 - ძირითადი საშუალებები;
9. ბასს 24 - დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები;
10. ბასს 32 - ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა.

აღსანიშნავია, რომ სამსახურის მიერ ანგარიშგების მიმოხილვის პროცესის არეალი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ამ დოკუმენტში გამჟღავნებული პრიორიტეტული საკითხებით.

რა ხდის ფინანსურ ანგარიშგებას ხარისხიანს

წარდგენილი ანგარიშგებების სტანდარტებთან შესაბამისობის ზრდის ხელშესაწყობად, წინამდებარე დოკუმენტში განხილულია მთავარი მახასიათებლები, რომელიც უნდა გააჩნდეს მაღალი ხარისხის ფინანსურ ანგარიშგებას. ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგების მახასიათებლები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად:

- ფინანსური ანგარიშგების პრინციპები;
- ეფექტური კომუნიკაციის პრინციპები.

ფინანსური ანგარიშგების პრინციპები არის ფინანსური ანგარიშგების ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები, ხოლო ეფექტური კომუნიკაციის პრინციპები მიმართულია იმაზე, თუ როგორ შეიძლება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის ხარისხიანი ინფორმაციის მიწოდება.

ფინანსური ანგარიშგების პრინციპებია - სიზუსტე, კავშირი და თანმიმდევრულობა, სისრულე, დროულობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა.

სიზუსტე

როდესაც საწარმო მიზნად ისახავს ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგების შექმნას, რომელიც დააკმაყოფილებს მომხმარებლის საჭიროებებს, კომპანიის ხელმძღვანელობამ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის სიზუსტე. იმის დასადგენად, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება თავისუფალი არსებითი შეუსაბამობებისა და შეცდომებისაგან, არსებული შეუსაბამობები და შეცდომები განხილულ უნდა იქნას საწარმოს არსებითობასა და სპეციფიკური გარემოებების კონტექსტში.

ფინანსური ანგარიშგების სიზუსტე მეტწილად დამოკიდებულია კომპანიის ძირითადი მონაცემების ხარისხზე, რომელიც მხარს უჭერს როგორც ფინანსურ, ასევე არაფინანსურ ინფორმაციას. კომპანიებს სჭირდებათ:

- ეფექტური საინფორმაციო სისტემების შემუშავება შესაბამისი და სრული ინფორმაციის შესაგროვებლად;
- მტკიცე შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვა მონაცემთა შესანარჩუნებლად და მათი მთლიანობის დასაცავად;
- გამოიყენონ ისეთი სააღრიცხვო სისტემა, რომელიც იძლევა ფინანსური ინფორმაციის სრულად მოძიების, ამოღებადობისა და წარდგენის საშუალებას.

მონაცემთა აღრიცხვის კონტროლი და სისტემა შეიძლება საჭიროებდეს განახლებას ფასს სტანდარტების ცვლილებების შესაბამისად, და ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა საჭირო იყოს სრულიად ახალი საბუღალტრო პროგრამის შექმნა/შექმნა. კომპანიებმა წინასწარ უნდა დაგეგმონ ეს ცვლილებები, რომელთა განხორციელებას შესაძლოა საკმაოდ დრო და მნიშვნელოვანი ინვესტიციები დასჭირდეს.

სიზუსტის პრინციპის დასაცავად, საწარმოებმა სხვადასხვა კონტროლის მექანიზმების დანერგვის გზით მუდმივად უნდა იზრუნონ ფაქტობრივი უზუსტობების გამოვლენასა და გამოსწორებაზე, ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადოდ გაამუშავონ მიღებული გადანყვეტილებები, კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და უზრუნველყონ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია იყოს თანმიმდევრული.

კავშირი და თანმიმდევრულობა

ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭიროა დაცული იყოს კავშირი და თანმიმდევრულობა.

კავშირი გულისხმობს ურთიერთდამოკიდებულებას გამუშავებულ ფაქტებსა და გარემოებებს შორის, ან მიზეზებსა და შედეგებს შორის. ეფექტური კავშირი უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისთვის ინფორმაციის მარტივად აღქმას და აძლიერებს ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივ მახასიათებლებს. ურთიერთდამოკიდებულებების განხილვისას კომპანიამ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მისი განვითარების, საქმიანობის, პოზიციისა და სამომავლო პერსპექტივების შესაფასებლად. კომპანიის ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგების მომზადების დაგეგმვის ეტაპზე უნდა დაადგინოს ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა მუხლებს შორის ურთიერთდამოკიდებულება. გუნდები, რომლებიც მუშაობენ და პასუხისმგებელი არიან ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა მუხლების აღრიცხვაზე, რეგულარულად უნდა ურთიერთობდნენ ანგარიშგების მომზადების პროცესში, მომავალში შეუსაბამობების შემცირების მიზნით. სასურველია, რომ ფინანსური ანგარიშგება რამდენიმეჯერ იქნას წაკითხული, როგორც ერთიანი დოკუმენტი, საწარმოს შესაბამისი თანამშრომლების მიერ, იმ მიზნით, რომ არსებობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე გამოსწორდეს ნებისმიერი უზუსტობა.

კანონთან და ფასს სტანდარტებთან შეუსაბამობები ხელს უშლის ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულობასა და სანდოობას. თანმიმდევრულობის მაგალითად შესაძლოა მოვიყვანოთ ფინანსურ ანგარიშგებაში ერთი და იგივე ტერმინების გამოყენება ერთი და იგივე შინაარსის მატარებელ მუხლთან მიმართებით. ერთი და იგივე ტერმინი აუცილებელია ნიშნავდეს ერთსა და იმავეს, თუ

იგი გამოიყენება ერთზე მეტგან ფინანსურ ანგარიშგებაში, რითაც დაცული იქნება ხსენებული ტერმინის თანმიმდევრულობა ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებში და განმარტებით შენიშვნებში. ამავდროულად, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია თანმიმდევრული უნდა იყოს პერიოდიდან პერიოდამდე. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის თანმიმდევრულობა იცვლება, საჭიროა კომპანიამ ამის შესახებ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გაამუშავოს.

სისრულე

ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგება აუცილებლად უნდა იყოს სრული. სისრულე ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი ინფორმაციის სიგანეს ასახავს და არა სიღრმეს. სისრულის დაცვა უზრუნველყოფს ყველა ტრანზაქციისა და მოვლენის ასახვას საბუღალტრო პროგრამაში, რომელიც უნდა აღრიცხულიყო კომპანიის მხრიდან წლის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციების საფუძველზე. სისრულის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც გამოტოვებული ტრანზაქციები გამოიწვევს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის დამახინჯებას. სრული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გავლენის მქონე ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის, რათა მიიღონ სწორი ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების, პოზიციის, ლიკვიდურობის მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

როგორც წესი, ფასს სტანდარტები მოიცავს დეტალურ მოთხოვნებს, რომელთან შესაბამისობა, კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, საკმარისია სისრულის მისაღწევად. თუმცა, ფასს სტანდარტები ვერ ითვალისწინებს ყველა კომერციულ ტრანზაქციას და ზოგიერთ კომპლექსურ, ან უჩვეულო შემთხვევაში, საჭიროა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში გამუშავდეს დამატებითი ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგების სისრულის შესაფასებლად, შესაძლოა, სასარგებლო იყოს იმავე სფეროში მოქმედი და იმავე ზომითი კატეგორიის კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვა და გამუშავებული ფინანსური ინფორმაციის შეფასება. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ სისრულის დასაცავად კომპანიებმა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას არ უნდა გამოიყენონ ფასს სტანდარტების სტანდარტული ან მათ სფეროში მოქმედი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებაში გამუშავებული ტექსტები თავიანთი სააღრიცხვო პოლიტიკისა და განმარტებითი შენიშვნების მომზადებისას. საწარმომ, საკუთარ ოპერაციებზე დაყრდნობით, უნდა განეროს ფინანსური ანგარიშგების ამა თუ იმ მუხლის აღრიცხვისა და შემდგომი შეფასების მეთოდები ფასს სტანდარტების შესაბამისად (იხ. კომპანიაზე მორგებული).

დროულობა

კანონით ყველა საწარმო ვალდებულია წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება **დაუყოვნებლივ, ანგარიშგების ხელმისაწვდომობისთანავე**, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 9 თვის ვადაში, სამსახურის მიერ დადგენილი წესით. საქართველოს ბაზარზე ოპერირებენ კომპანიები, რომლებიც ხელმისაწვდომობისთანავე წარადგენენ ფინანსურ ანგარიშგებას, რაც დადებითად აისახება კაპიტალის ბაზრის განვითარებაზე და ხელს უწყობს საწარმოებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას. იმისათვის, რომ გასაჯაროებული ანგარიშგებები მეტი სარგებლის მომტანი იყოს მათი მომხმარებლისთვის, მნიშვნელოვანია ანგარიშგების დროული წარდგენა. აუცილებელია იმის აღნიშვნაც,

რომ ფინანსური ანგარიშგების ადრეულმა წარდგენამ გავლენა არ უნდა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების ხარისხზე.

სამართლიანობა და მიუკერძოებლობა

ფინანსური ანგარიშები ეკონომიკური მოვლენების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის სიტყვებისა და რიცხვების მეშვეობით. იმისათვის, რომ ფინანსური ინფორმაცია სასარგებლო იყოს, ის არა მარტო შესაბამისი ეკონომიკური მოვლენების ამსახველი უნდა იყოს, არამედ სამართლიანად უნდა წარმოადგენდეს იმ მოვლენების შინაარსსაც, რომლის ასახვისთვისაც არის გამიზნული. მაგალითად, შეუძლებელია არადაკვირვებადი (არაემპირიული) ფასის ან ღირებულების შეფასების მიკუთვნება ზუსტი, ან არაზუსტი ინფორმაციის კატეგორიებზე. თუმცა, ამგვარი შეფასების წარდგენა შეიძლება სამართლიანი იყოს, თუ:

- თანხა ზუსტად და ნათლად იქნება დახასიათებული, როგორც შეფასებითი (მიახლოებითი) მნიშვნელობა;
- ახსნილი იქნება შეფასების პროცესის ხასიათი და მისთვის დამახასიათებელი შეზღუდვები;
- შეცდომები დაშვებული არ იყო შეფასებითი მნიშვნელობის დასადგენად საჭირო სათანადო პროცესის შერჩევასა და გამოყენებაში.

მიუკერძოებლობას უზრუნველყოფს წინდახედულობა. წინდახედულობა ნიშნავს სიფრთხილის გამოჩენას განუსაზღვრელ გარემოებებში განსჯისა და გადაწყვეტილებების მიღებისას, ასევე იმასაც, რომ აქტივები და შემოსავლები არ იქნება გადიდებული, ხოლო ვალდებულებები და ხარჯები - შემცირებული. მიუკერძოებლად შედგენილი ფინანსური ანგარიშგება უნდა მიუთითებდეს კომპანიის მუშაობის, პოზიციისა და სამომავლო პერსპექტივების როგორც დადებით, ასევე უარყოფით ასპექტებზე, ასევე რისკებსა და შესაძლებლობებზე, რომელთა წინაშეც დგას კომპანია.

ეფექტური კომუნიკაციის პრინციპები

ეფექტური კომუნიკაცია ინვესტორებს ეხმარება ფინანსური ანგარიშგებიდან მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია. როდესაც ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაცია ფასს სტანდარტების დაცვით არის გამჟღავნებული, მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ უკეთესი ეკონომიკური გადაწყვეტილებები. ეფექტური კომუნიკაციის პრინციპებია - **კომპანიაზე მორგებული, ნათელი, მოკლე და გასაგები, ზედმეტი ინფორმაციისაგან თავისუფალი და შესაბამისი და შესადარისი.**

კომპანიაზე მორგებული

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის გამჟღავნება ნაკლებ სავარაუდოა რომ იყოს მომხმარებელზე ორიენტირებული და დაეხმაროს მათ სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში. კომპანიის ხელმძღვანელობა უნდა ეცადოს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სტანდარტული ტექსტები ჩაანაცვლოს ინფორმაციით, რომელიც მორგებულია კომპანიის კონკრეტულ გარემოებებსა და ბიზნეს-პროცესებზე. მსგავსი ქმედებით, ფინანსური ანგარიშგება მომხმარებელს უკეთესი ხარისხისა და სარგებლიანი ინფორმაციით უზრუნველყოფს. მაგალითისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ განმარტებითი შენიშვნა ანარიცხების შესახებ, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს როგორც კომპანიაზე მორგებული და ზოგადი შინაარსის.

- კომპანიაზე მორგებული - კომპანია ყიდის ავტომობილებს გარანტიით. საგარანტიო ანარიცხები აღიარდება მანქანის გაყიდვისას. ისტორიული საგარანტიო ვალდებულებების გამოცდილებიდან გამომდინარე იქმნება ვარაუდი მომავალი საგარანტიო ვალდებულების ტიპსა და მოცულობაზე, ასევე შესაძლო განვევის კამპანიებზე. ეს შეფასებები ეფუძნება წარსულში გაყიდული ავტომობილების გაუმართაობისა და დეფექტების სიხშირესა და მასშტაბს. გარდა ამისა, შეფასებებში გათვალისწინებულია ერთეული ავტომობილის შეკეთების პოტენციური ხარჯები და შესაძლო დროისა და გარბენის ლიმიტის ეფექტები. ანარიცხები განსხვავებული/ახალი ინფორმაციის მიღებისას რეგულარულად კორექტირდება.

ზემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა ნათლად აღწერს, თუ როგორია კომპანიის ქცევა ანარიცხების აღიარებისას მის კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს ფართო ხედვას იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენს ანარიცხების გაზომვასა და აღიარებაზე.

- ზოგადი შინაარსი - ანარიცხი უნდა აღიარდეს მაშინ, როდესაც საწარმოს აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად; სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება. იშვიათ შემთხვევაში ნათელი არ არის, არსებობს თუ არა მიმდინარე ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ წარსული მოვლენის შედეგად წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, თუ ყველა არსებული მტკიცებულების გათვალისწინებით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე ვალდებულების არსებობა უფრო მეტადაა მოსალოდნელი, ვიდრე არარსებობა.

ზემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა ტიპური მაგალითია იმისა, თუ როგორ არ უნდა გაამჟღავნოს საწარმომ ინფორმაცია ანარიცხების შესახებ, რადგანაც ეს ჩანაწერი იმეორებს შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებს. ტექსტიდან არ ირკვევა, თუ როგორ გამოიყენა კომპანიამ ანარიცხის აღიარების მოთხოვნები, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების მკითხველს არ აწვდის სასარგებლო ინფორმაციას.

ნათელი, მოკლე და გასაგები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს ნათელი, მოკლე და გასაგები. ფინანსური ანგარიშგების აღქმადობა უარესდება, როდესაც არსებითი ინფორმაცია იმ დონეზეა დაფარული არაარსებითი ინფორმაციით, რომ ძირითადი მომხმარებელი ვერ შეძლებს არსებითი ინფორმაციის გამორჩევას. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ნათელი, მოკლე და გასაგებია თუ:

- გამოყენებულია პირდაპირი ენა და მოკლე წინადადებები;
- საჭიროების შემთხვევაში თანმიმდევრულად არის გამოყენებული სპეციალური ტერმინები;
- ფოკუსირებულია ფინანსური ანგარიშგების არსებით მუხლებზე, რომელიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის;
- გამორიცხულია არარელევანტური ინფორმაცია;
- გამოყენებულია დიაგრამები, გამოსახულებები და ცხრილები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სტანდარტითაა მოთხოვნილი ან/და აადვილებს ფინანსური ინფორმაციის გაგებასა და აღქმას.

ინფორმაცია რომ მეტად გასაგები იყოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისთვის, აუცილებელია, რომ ინფორმაცია არსებითი მუხლის, ოპერაციის ან სხვა მოვლენის შესახებ არ იყოს გაფანტული მთელ ფინანსურ ანგარიშგებაში. მაგალითად, შესაძლოა, რომ ლიკვიდურობის რისკის შესახებ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია კომპანიამ არ წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა განმარტებით შენიშვნაში. ამგვარი ინფორმაციის ერთობლივად წარდგენა გააადვილებს ანგარიშგების მომხმარებლისთვის იმის შეფასებას, თუ რამდენად ჯანსაღია კომპანიის ლიკვიდურობა.

ზედმეტი ინფორმაციისგან თავისუფალი და შესაბამისი

ზედმეტი ინფორმაციისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგება ერთ-ერთი ბერკეტია კომპანიისთვის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში თავიდან აირიდოს ინფორმაციის ორმაგად წარმოდგენა. ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს მხოლოდ შესაბამის ინფორმაციას. ჩვენი რეკომენდაცია იქნება, რომ კომპანიის ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგებიდან ამოიღოს მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის არააქტუალური და შეუსაბამო ინფორმაცია. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გავრცელებული პრაქტიკაა, რომ წინა წელს მომზადებულ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მზადდება მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგება. ამ დროს, ფინანსური ანგარიშგების მომზადებულმა ყურადღებით უნდა გადახედოს წინა წლის ფინანსური ანგარიშგების მონახაზს და ამოიღოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც აღარ არის აქტუალური და დაამატოს ისეთი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც საჭიროა შესწორებული მოთხოვნებით ან/და ახალი გარემოებებით.

შესადარისი

თუ ფასს სტანდარტებით სხვა რამ არ მოითხოვება, ან არ არის ნებადართული, საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია, მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ყველა რიცხობრივი მონაცემის შესაბამისად. შესადარისი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს თხრობითი და აღწერილობითი ხასიათის ინფორმაციასაც, თუ ამის გაკეთება აუცილებელია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების უკეთ გასაგებად. ზოგ შემთხვევაში, წინა პერიოდ(ებ)ის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აღწერილობითი ხასიათის ინფორმაცია მიმდინარე პერიოდისთვისაც ისევ შესაფერისია. მაგალითად, საწარმო მიმდინარე პერიოდში განმარტავს დაუმთავრებელი სასამართლო დავის დეტალებს, რომლის შედეგი წინა პერიოდის ბოლოს გაურკვეველი იყო და ჯერ ისევ არ არის გადამწყვეტილი. მომხმარებლებისთვის სასარგებლოა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წინა პერიოდის ბოლოს განუსაზღვრელობა არსებობდა და ასევე იმის შესახებ, მიმდინარე პერიოდში რა ზომები გატარდა მის გადასაჭრელად.

არსებითობა

არსებითობა ფინანსური ანგარიშგების საფუძველია. ის საწარმოსთვის დამახასიათებელი შესაბამისობის სპეციფიკური ასპექტია, რომელიც გამომდინარეობს იმ ელემენტების ხასიათიდან ან სიდიდიდან (ან ორივე აღნიშნული ფაქტორიდან), რომლებსაც ეხება მოცემული ინფორმაცია, კონკრეტული საწარმოს ფინანსური ანგარიშგების კონტექსტში. შესაბამისად, არ არსებობს არსებითობისთვის დადგენილი ერთიანი რაოდენობრივი ზღვარი, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ინფორმაცია არსებითია, თუ გონივრულ ფარგლებში

მოსალოდნელია, რომ მისი გამოტოვება, არასწორად ან ბუნდოვნად წარდგენა გავლენას მოახდენს მომხმარებლის ეკონომიკურ გადამწყვეტილებაზე, რომელსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები იღებენ იმ ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც შეიცავს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტული ანგარიშგებულ საწარმოს შესახებ. არსებითობა ვრცელდება ყველა ოპერაციაზე, ნაშთსა თუ განმარტებით შენიშვნაზე, რომლებიც შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც რიცხობრივ, ასევე ტექსტურ ფორმატში. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია მაშინ არის მომხმარებლისთვის სარგებლის მომტანი, როდესაც არაარსებითი თანხები გაერთიანებულია ფუნქციების ან შინაარსის ერთგვაროვნების მიხედვით არსებით მუხლებად და ისინი არის სრული, მიუკერძოებელი და შეცდომებისგან თავისუფალი.

რაოდენობრივი ფაქტორები

რაოდენობრივი ფაქტორების მიხედვით არსებითობის განსაზღვრა მთლიანი ფინანსური ანგარიშგებისთვის მსჯელობის საგანია. მთლიანი ფინანსური ანგარიშგების დონეზე არსებითობის დასადგენად, ხშირად, შერჩეული კრიტერიუმების (benchmark) მიმართ პროცენტული მაჩვენებელი გამოიყენება, როგორც ამოსავალი წერტილი. კომპანიის ხელმძღვანელობა არსებითობის განსაზღვრისას შესაძლოა დაეყრდნოს შემდგომი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს: მოგება დაბეგვრამდე, მთლიანი ამონაგები, საერთო მოგება და მთლიანი ხარჯები, საკუთარი კაპიტალი ან წმინდა აქტივების ღირებულება. კრიტერიუმების განსაზღვრაზე შესაძლოა გავლენას ახდენდეს შემდეგი ფაქტორები:


- ფინანსური ანგარიშგების ელემენტები (მაგალითად, აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, ამონაგები, ხარჯები);
- არსებობს თუ არა ფინანსური ანგარიშგების მუხლები, რომლებიც განსაკუთრებით აინტერესებთ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს (მაგალითად, სუბიექტის საქმიანობის ფინანსური შედეგების შესაფასებლად, მომხმარებლებს შეიძლება განსაკუთრებით აინტერესებდეთ მოგება, ამონაგები ან წმინდა აქტივები);
- სუბიექტის საქმიანობის სპეციფიკა, სასიცოცხლო ციკლის რა ეტაპზე იმყოფება სუბიექტი, ასევე ის დარგობრივი და ეკონომიკური გარემო, რომელშიც სუბიექტი საქმიანობს;
- სუბიექტის საკუთრების სტრუქტურა და მისი დაფინანსების მექანიზმი (მაგალითად, თუ სუბიექტი ფინანსდება მართო ნასესხები სახსრებით, საკუთარი კაპიტალის ნაცვლად, მომხმარებლებმა შეიძლება მეტი ყურადღება მიაქციონ აქტივებსა და მათზე მოთხოვნის უფლებებს, ვიდრე სუბიექტის შემოსავლებს); და
- კრიტერიუმების შედარებითი ცვალებადობა.

ხარისხობრივი ფაქტორები

ხარისხობრივ ფაქტორებად შესაძლოა მოვიხსნათ ნებისმიერი სხვა ფაქტორი, გარდა რაოდენობრივი ფაქტორებისა. იმის დადგენა, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგების მუხლი თვისობრივად არსებითი, განსჯის საგანია ისევე, როგორც რაოდენობრივი ფაქტორების მიხედვით არსებითობის განსაზღვრა. ხარისხობრივი ფაქტორების მაგალითებია:

- საწარმოს მიერ დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციები;
- გარიგების ან სხვა მოვლენის იშვიათი/არასტანდარტული მახასიათებლები;
- ის რაც გავლენას ახდენს რისკზე ან შეიძლება გავლენა მოახდინოს მომავალზე და არა ისტორიულ შედეგებზე (მაგალითად, ძირითადი მომხმარებლების დაკარგვა);
- მოცემული პერიოდისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გარემოებები (მაგალითად; კომპანიამ მოცემული პერიოდის განმავლობაში განახორციელა მნიშვნელოვანი საწარმოთა გაერთიანება).

იმის განსასაზღვრად, უნდა გაამუღავნოს თუ არა საწარმომ ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების რომელიმე მუხლის, მოვლენის ან ოპერაციის შესახებ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, პასუხები უნდა გასცეს შემდეგ შეკითხვებს:



შენიშვნა
 იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტს ჰყავს სხვა მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო, ამ დოკუმენტში აღწერილი პროცესები განხორციელდება შესაბამის მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოსთან კოორდინაციაში.